დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი № 1

ქ. დმანისი 20 იანვარი 2020 წელი

სხდომის თავმჯდომარე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე **მერაბი ოქრიაშვილი**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა: დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თემურ ტატულაშვილი, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი ლევან მანთაშაშვილი, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი თინათინ ციხელაშვილი
სხდომის მდივანი: ლომა გადრანი

სხდომა დაიწყო: 12. 00
სხდომა დასრულდა: 12. 20

დღის წესრიგი:

1	**დადგენილება:** ,,დმანისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 13 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხსენებელი:	**თ. ტატულაშვილი**

2	**განკარგულება:** „დმანისის მუნიციპალიტეტში ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის'' მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების თაობაზე
მომხსენებელი:	**კ.პეტრიაშვილი**

3	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ
მომხსენებელი:	**კ.პეტრიაშვილი**

4	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების(ელექტროგადამცემი ხაზი) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ
მომხსენებელი:	**გ. ციხელაშვილი**

5	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტში 2020 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე
მომხსენებელი:	**ლ. მანთაშაშვილი**

1.მომახსენებელი : თემურ ტატულაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი ,,დმანისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' დმანისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 13 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

აზრი გამოთქვეს:

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მომხრე: 23

წინაღმდეგი: 1

2. **მომხსენებელი: კახა პეტრიაშვილმა** საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტში ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის" მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების თაობაზე

„დმანისის მუნიციპალიტეტში ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის" ანგარიშის შესახებ მოგახსენებთ რომ კომისიამ საანგარიშო პერიოდში განიხილა 63 განცხადება, არ დაკმაყოფილადა 57, ექვსი განცხადება განხილვის პროცესშია.

აზრი გამოთქვეს: 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 24

წინაღმდეგი:

3. **მომხსენებელი: კახა პეტრიაშვილმა** საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ გაცნობებთ, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმება საჭიროა როდესაც ხელშეკრულებით დასაქმებულთა რაოდენობა აღემატება საშტატო განრიგით გათვალისწინებულ თანამდებობათა ხუთ პროცენტს, არამუდმივი ამოცანათა შესასრულებლად დმანისის მუნიციპალიტეტის მერიას ესაჭიროება დამატებით ოთხი თანამშრომელი:

1. (რიგით მერვე) - სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის სპეციალისტი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის კოორდინატორი;
2. (რიგით მეცხრე) - სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის სპეციალისტი ამბულატორიების და სტიქიების კოორდინატორი;
3. (რიგით მეათე) - სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის სპეციალისტი სკოლების კოორდინატორი;
4. (რიგით მეთერთმეტე) - შიდა აუდიტის სამსახურის სპეციალისტი შიდა აუდიტის საკითხებში.

აზრი გამოთქვეს: 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 24

წინაღმდეგი:

4. **მომხსენებელი: გოგი ციხელაშვილმა** საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების(ელექტროგადამცემი ხაზი) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საკრებულოს წევრებმა განიხილეს წარმოდგენილი პროექტი უზუფრუქტის ფორმით, დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ელექტროგადამცემი ხაზის (ობიექტის სიგრძე 4999,31 მ. დაფარვის ზონა - ქ. დმანისი სოფელი მამიშლარი) 49 წლის ვადით, სს ,,ენერგო პრო ჯორჯიასთვის'' გადაცემის თაობაზე და ქირის საფასურის ოდენობა წელიწადში 1 ლარის ოდენობით.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 24

წინაღმდეგი:

5. **მომხსენებელი: ლევანი მანთაშაშვილმა** საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტში 2020 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე

ქ. დმანისში და სოფლებში შიდა ქუჩებზე გზებისა და სანიაღვრე არხების მოწყობა, ხიდების რეაბილიტაცია (1. ქ. დმანისში შიდა გზების რეაბილიტაცია, 2. სოფ. ამამლოში საცალფეხო ხიდების მოწყობა 2 ცალი, 3. სოფ. პატარა დმანისში სარიტუალო დარბაზის მიმდებარე გზა - სიგრძე 64 მ, 4. სოფ დიდ დმანისში სარიტუალო დარბაზამდე მისასვლელი გზის მოწყობა და სანიაღვრე არხის მოწყობა (82 გრძ.მ), 5. სოფ. ქვემო ოროზმანში სკოლასთან მისასვლელი გზის მოწყობა, 6. სოფ. ქვემო ოროზმანში სანიაღვრე არხის მოწყობა, სოფ 7. გომარეთში ხევის გაწმენდა და მილხიდის მოწყობას)

ქ. დმანისში და სოფლებში გარე განათების მოწყობა

სარიტუალო და სპორტული დარბაზების მშენებლობა/რეაბილიტაცია (1. სოფ.ოროზმანში სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია, 2. სოფ. გოდაგდაგში სარიტუალო დარბაზის რეაბილიტაცია, 3. სოფ. ლოქჭანდარში სარიტუალო დარბაზის მშენებლობა, 4. დმანისის მუნიციპალიტეტში, სოფელ მამულოს სარიტუალო დარბაზის ეზოში დამხმარე ნაგებობისა და საპირფარეშოს მოწყობა,

წყლები (1.სოფელი გუგუთის წყალმომარაგების მიზნით შიდა ქსელის და რეზერვუარის მოწყობა, 2. სოფ. მთისძირში წყლის სათავე ნაგებობის შემკრების/რეზერვუარის და მაგისტრალური ხაზის მოწყობის სამუშაოები)

სკვერები და სტადიონები (ჩოლოყაშვილის ქუჩაზე სტადიონის და სკვერის მოწყობა) 1. დმანისის მუნიციპალიტეტის საზღვრის აღმნიშვნელი ბანერი 2.დმანისის მუნიციპალიტეტში შიდა სახელმწიფო გზასთან უსახური შენობების რეაბილიტაციის სამუშაოები, 3. ქ.დმანისში 9 აპრილის ჩიხი ქ.N4 -ში მდებარე ,,ააიპ დმანისის კომუნალური სამსახურის'' სპეც ავანქანაებისთვის ე.წ ფარდულის მოწყობის სამუშაოები, 4. დმანისი-ამამლო-საფარლოს გზიდან სოფ. პანტიანის გადასახვევთან ტერიტორიის შემოღობვის სამუშაოები, 5. გომარეთის ადმინისტრაციული შენობის ეზოს შემოღობვის სამუშაოები, 6.იფნარის ადმინისტრაციული შენობის ეზოს შემოღობვის სამუშაოები.

მრავალ კორპუსების სახურავების რეაბილიტაციები

რგფ პროექტების თანადაფინანსება

2020 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების თანადაფინანსება

2020 წლებში საზედამხედველო/საექსპერტო მომსახურების შესყიდვა

პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა.

აღნიშნული პროექტების ღირებულება სულ შეადგენს 5,265,200.00 ლარს.

ასევე დმანისის მუნიციპალიტეტში 2018-2019 წლის პროექტების დასრულებისთვის თანხა 2, 785, 518 ლარი გადანაწილდა შემდეგ **პროექტებზე:**

"1. ქ.დმანისის ქუჩების მოასფალტება, სოფ.დიდ.დმანისში და სოფ.ვარდისუბანში რ/ბ არხების მოწყობის სამუშაოები. 2. ქ. დმანისში ვაჟა ფშაველას ქუჩის და ალ. ყაზბეგის ქუჩის დამაკავშირებელი საცალფეხო ხიდის რეაბილიტაცი. "

1) სოფელ მაშავერაში მინი სტადიონისა და სკვერის მოწყობა, 2) სოფელ ჯავახში მინი სტადიონისა და სკვერის მოწყობა, 3) სოფ. ბოსლების მინი სტადიონის მოწყობა,შემოღობვა, 4) წმინიდა ნინოს ქუჩაზე მდებარე (82.01.46.640) სკვერის, წმინდა ნინოს ქუჩა 38 ა სკვერში მდებარე საპირფარეშოს რეაბილიტაცია და ჭუბერის III ჩიხი N4 ა სკვერში მდებარე საპირფარეშოს რეაბილიტაცია 5) სოფ. ვარდისუბანში სკვერისა და მინი სტადიონის მშენებლობა, 6) სოფ

განთიადში მინი სტადიონის რეაბილიტაცია 7) . ქ. დმანისში სოფ განთიადამდე (ე.წ კოლხოსტროის ტერიტორია) გზის გასწვრივ და ვ. ბატონიშვილის და 300 არაგველის ქუჩების მიმდებარედ შემოღობვის სამუშაოები

1.ქ. დმანისში ვაჟა ფშაველას ქუჩაზე მდებარე (82.01.45.007) სარიტუალო დარბაზის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა, ფარდულის აშენება. 2. სოფ იაღუფლოში რიტუალების სახლში მეტლახის მოწყობა და კედლების შელესვითი სამუშაოები 8. სოფ ტნუსში სარიტუალო დარბაზის რეაბილიტაცია.

1.ქ. დმანისში მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების ფასადების რეაბილიტაცია (26 მაისის ქ. N11. 2.ქ. დმანისში მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავების რეაბილიტაცია, 3. ზემო კარაბულახში ადმინისტრაციული შენობის სახურავის რეაბილიტაცია

ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა

რგფ პროექტების თანადაფინანსება

პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა

ზოგადი ხედვის კამერების გამაფრთხილებელი აბრების შეძენა (მიმდინარეობს ვიდეო კონტროლის) და კამერების დასამონტაჟებლად 6 ბოძის შეძენა მონტაჟი

ქ. დმანისში და დმანისის მუნიციპალიტეტის სოფლებში გარე განათების მოწყობა.

2019 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების თანადაფინანსება

2019-2020 წლებში საზედამხედველო/საექსპერტო მომსახურების შესყიდვა

ქ.დმანისში საზოგადოებრივი ცენტრის კეთილმოწყობა

"ზოგადი ხედვის კამერების ძესყიდვა თანმდევი მომსახურებით.''

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

პომხრე: 23

წინაღმდეგი: 1

საკრებულოს თავმჯდომარე **მერაბ ოქრიაშვილი**

სხდომის მდივანი: ლ. გადრანი